SEPTEMBER 7 12:00

მარკ-ანდრე ჰამელინი – ფორტეპიანო

მეჩისლავ ვაინბერგი (1919–1996)
საფორტეპიანო სონატა No. 5, თხზ. 58
Allegro
Andante
Allegretto

კლოდ დებიუსი (1862–1918)
„სახეები“, II რვეული
„ზარები ფოთლებში“
„და მთვარე ეშვება ტაძარზე, რომელიც აღარ არსებობს“
„ოქროს თევზები“

ფრედერიკ შოპენი (1810–1849)
საფორტეპიანო სონატა No. 2 სი ბემოლ მინორი, თხზ. 35
Grave – Doppio movimento
Scherzo
Marche funèbre: Lento
Finale: Presto

Marc-André Hamelin – Piano

Mieczysław Weinberg (1919–1996)
Piano Sonata No. 5, Op. 58
Allegro
Andante
Allegretto

Claude Debussy (1862–1918)
Images, Book II
Cloches à travers les feuilles
Et la lune descend sur le temple qui fut
Poissons d’or

Frédéric Chopin (1810–1849)
Piano Sonata No. 2 in B-flat Minor, Op. 35
Grave – Doppio movimento
Scherzo
Marche funèbre: Lento
Finale: Presto

□

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

მეჩისლავ ვაინბერგი – საფორტეპიანო სონატა No. 5, თხზ. 58

ვაინბერგმა მეხუთე საფორტეპიანო სონატა 1956 წელს შექმნა და თავის მეგობარსა და კოლეგას, კომპოზიტორ ბორის ჩაიკოვსკის მიუძღვნა. მისი პირველი შესრულება 1958 წლის 9 ნოემბერს შედგა, შემსრულებელი იყო პიანისტი ლილია ბრუმბერგი. სონატის შექმნამდე მხოლოდ სამი წლით ადრე, 1953 წელს, ვაინბერგი მოსკოვში დააპატიმრეს შეთითხნილი პოლიტიკური ბრალდებით. დიმიტრი შოსტაკოვიჩი მის დასაცავად აქტიურად ჩაერთო და ლავრენტი ბერიას წერილითაც მიმართა; სტალინის გარდაცვალების შემდეგ ვაინბერგი გაათავისუფლეს. კომპოზიტორის ბიოგრაფიის ეს ეპიზოდი განსაკუთრებით გამორჩეულია იმითაც, რომ ვაინბერგისა და შოსტაკოვიჩის მეგობრობა საბჭოთა მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ შემოქმედებით ურთიერთობად იქცა.

კლოდ დებიუსი – „სახეები“, II რვეული

დებიუსიმ „სახეების“ მეორე რვეული 1907 წელს შექმნა; კრებული 1908 წელს პარიზში გამომცემლობა Durand-მა გამოსცა. სამივე პიესას საკუთარი მიძღვნის ადრესატი ჰყავს: ალექსანდრ შარპანტიე, დებიუსის მეგობარი და ბიოგრაფი ლუი ლალუა და პიანისტი რიკარდო ვინიესი. სწორედ ვინიესმა შეასრულა მთელი რვეული პირველად 1908 წლის 21 თებერვალს, პარიზის Cercle Musical-ის კონცერტზე. ბოლო პიესის სახელწოდებას ძალიან კონკრეტული ვიზუალური წყაროც უკავშირდება: დებიუსის სამუშაო ოთახში ეკიდა ოქროთი და სადაფით გაფორმებული იაპონური ლაქის პანელი, რომელზეც ტირიფის ქვეშ ორი თევზი იყო გამოსახული. ეს ნივთი დღეს სენ-ჟერმენ-ან-ლეს კლოდ დებიუსის მუზეუმში ინახება.

ფრედერიკ შოპენი – საფორტეპიანო სონატა No. 2 სი ბემოლ მინორი, თხზ. 35

შოპენის მეორე სონატის შექმნის ისტორია უჩვეულოა: მისი ყველაზე ცნობილი ნაწილი – სამგლოვიარო მარში – 1837 წელს დაიწერა, დანარჩენი სამი ნაწილი კი კომპოზიტორმა ორი წლის შემდეგ, 1839 წლის ზაფხულში, ჟორჟ სანდის მამულში, ნოანში შექმნა. 8 აგვისტოს მეგობარ იულიან ფონტანას შოპენი ახალი სონატის შესახებ წერდა და განსაკუთრებით მოკლე ფინალს ახსენებდა, სადაც, მისი ხატოვანი სიტყვებით, მარცხენა და მარჯვენა ხელი „უნისონში საუბრობენ“. სონატა 1840 წელს გამოიცა. ნაწარმოების მესამე ნაწილმა მალევე დამოუკიდებელი ცხოვრებაც დაიწყო და სამგლოვიარო მარშის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნიმუშად იქცა. თავად შოპენი წერილებში მას, როგორც წესი, უბრალოდ „მარშს“ უწოდებდა.

ამ დროს საქართველოში...

1956 წელი, როდესაც ვაინბერგმა მეხუთე საფორტეპიანო სონატა შექმნა, საქართველოს მედიის ისტორიაშიც გარდამტეხი აღმოჩნდა. 30 დეკემბერს თბილისიდან პირველი სატელევიზიო სიგნალი გადაიცა და საქართველოში რეგულარული ტელემაუწყებლობის ისტორია დაიწყო. პირველი სტუდია მთაწმინდაზე, იმდროინდელ ტელეანძასთან იყო მოწყობილი. ამგვარად, იმავე წელს, როდესაც მოსკოვში ვაინბერგი თავის ახალ საფორტეპიანო სონატაზე მუშაობდა, თბილისში სრულიად ახალი კულტურული და საინფორმაციო სივრცე – ტელევიზია – იბადებოდა.

□

Programme Notes
Notes by Nino Jvania

Mieczysław Weinberg – Piano Sonata No. 5, Op. 58

Weinberg composed his Fifth Piano Sonata in 1956 and dedicated it to his friend and fellow composer Boris Tchaikovsky. The work received its first performance on 9 November 1958, played by the pianist Lilia Brumberg. Only three years before composing the sonata, in 1953, Weinberg had been arrested in Moscow on fabricated political charges. Dmitri Shostakovich actively intervened on his behalf, even writing to Lavrentiy Beria; Weinberg was released after Stalin’s death. The episode is one striking chapter in a friendship that became one of the best-known creative relationships in Soviet musical history.

Claude Debussy – Images, Book II

Debussy composed the second book of Images in 1907; it was published in Paris by Durand in 1908. Each of its three pieces carries a separate dedication: Cloches à travers les feuilles to Alexandre Charpentier, Et la lune descend sur le temple qui fut to Debussy’s friend and biographer Louis Laloy, and Poissons d’or to the pianist Ricardo Viñes. Viñes gave the first complete performance of the book on 21 February 1908 at the Cercle Musical in Paris. The title of the final piece also has a remarkably tangible visual source: Debussy owned a Japanese lacquer panel, decorated with mother-of-pearl and gold, depicting two fish beneath a willow. The panel, which hung in his study, is now preserved at the Musée Claude Debussy in Saint-Germain-en-Laye.

Frédéric Chopin – Piano Sonata No. 2 in B-flat Minor, Op. 35

The genesis of Chopin’s Second Sonata is quite unusual: its most famous movement, the Funeral March, was written in 1837, while the other three movements followed two years later, during the summer of 1839 at George Sand’s estate in Nohant. Writing to his friend Julian Fontana on 8 August, Chopin described the new sonata and singled out its very short finale, where, in his wonderfully vivid phrase, the left and right hands “gossip in unison.” The sonata was published in 1840. Its third movement soon acquired an independent life and became one of the most widely recognised funeral marches in Western music. Chopin himself, however, generally referred to it simply as “the March” in his letters.

Meanwhile in Georgia...

The year 1956, when Weinberg composed his Fifth Piano Sonata, was also a turning point in the history of Georgian media. On 30 December, the first television signal was broadcast from Tbilisi, marking the beginning of television broadcasting in Georgia. The first studio was located on the Mtatsminda Plateau beside the original television tower. Thus, in the same year that Weinberg was working on his new piano sonata in Moscow, an entirely new cultural and informational medium — television — was beginning its history in Tbilisi.